KA030104699748619

№ 01-4790 **15 / მაისი / 2019 წ.**

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს ქალბატონ სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიკო,

იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2019 წლის 10 მაისის № 01-4641 წერილით წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 23 აპრილის N4874/4-13/19 კორესპონდენცია, რომელიც ეხება ადამიანის ორგანოთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს 2015 წლის კონვენციასთან მიერთების მიზანშეწონილობის საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

ადამიანის ორგანოთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს 2015 წლის კონვენციის რატიფიცირებისას, ვფიქრობთ, უნდა შეფასდეს ის ვალდებულებები, რასაც ითვალისწინებს კონვენცია ქვეყნისთვის, მათ შორის, ფინანსური ვალდებულებების კუთხით, მაგ, კონვენციის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის არაწევრი კონვენციის მონაწილე მხარის ვალდებულებას მოახდინოს გარკვეული ფინანსური კონტრიბუცია შესაბამისი კომიტეტის სასარგებლოდ.

ასევე, ვფიქრობთ, შესაფასებელია კონვენციის მე-18 და 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ჩანაწერები, რომლებიც ითვალისწინებენ კონვენციის მონაწილე ყველა მხარის ვალდებულებას მიიღოს ყველა სამართლებრივი და სხვა ზომები, რათა მსხვერპლს ჰქონდეს შესაძლებლობა, ისარგებლოს ფსიქიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური გაჯანსაღებით, ისარგებლოს კომპენსაციის მიღების უფლებით, დამნაშავის მხრიდან და ზოგადად, ქვეყნის ვალდებულებას, უზრუნველყოს ნებისმიერი პაციენტის უფლება, ისარგებლოს ტრანსპლანტაციის სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობით და ა.შ.

შესაბამისად, კონვენციასთან მიერთების საკითხი განხილულ უნდა იქნეს ქვეყნისთვის მოსალოდნელი სარგებლისა და საპასუხო ღონისძიებების გათვალისწინებით, ჯანდაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სამსახურის პოზიციის შესაბამისად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნათელა ხმალაძე